საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის

კინო-ტელე ფაკულტეტის
დებულება

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე
2017 წლის 15 დეკემბერი ოქმი N21

მუხლი 1. რეგულირების სფერო
მუხლი 2. ფაკულტეტი სტატუსი
მუხლი 3. ფაკულტეტის ფუნქციები
მუხლი 4.ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვის ორგანოები
მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭო
მუხლი 6.დეკანატი
მუხლი 7. დეკანის ფუნქციები
მუხლი 8. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
მუხლი 9. დეკანატის სამდივნო
მუხლი 10. ფაკულტეტზე არსებული სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებები:
მუხლი 11. საგანმანათლებლო პროგრამა
მუხლი12. საგანმანათლებლო პროგრამისხელმძღვანელი/მიმართულების ლიდერი
მუხლი 13. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-დამტკიცება
მუხლი 14. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი
მუხლი 15. მოწვეული პერსონალი
მუხლი 16. ფაკულტეტის სტუდენტები
მუხლი 17. სტუდენტური თვითმმართველობა
მუხლი 18. ფაკულტეტის სამხატვრო პედაგოგიური საბჭო (დანართი #1)
მუხლი 19. ფაკულტეტის სასწავლო სტუდია (დანართი #2)
მუხლი 20. ფაკულტეტის კინოკლუბი (დანართი#3)
მუხლი21. საჯაროობა
მუხლი22. მატერიალური რესურსები
მუხლი 23. ფაკულტეტისდებულებაშიცვლილებები
მუხლი24. დებულების ამოქმედება

სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო „უმაღლესი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის მე-18 მუხლისა და 28-ე მუხლის „დ“ქვეპუნქტის საფუძველზე ამტკიცებს სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო -ტელე ფაკულტეტის შემდეგ დებულებას:

თავი I:ზოგადიდებულებანი

მუხლი1. რეგულირების სფერო

1.1. ეს დებულება ადგენს სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში: უნივერსიტეტი) კინო - ტელე ფაკულტეტის (შემდეგში: ფაკულტეტი) საქმიანობის წესს და განსაზღვრავს ფაკულტეტის სტრუქტურას.

1.2. დებულების მოქმედება ვრცელდება ფაკულტეტის მართვის ორგანოების,აკადემიური პერსონალისა და პედაგოგების მიმართ.

მუხლი2. ფაკულტეტის სტატუსი

2.1.ფაკულტეტი არის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეული.

2.2.ფაკულტეტს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და პირებისწინაშე წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი.

2.3.ფაკულტეტი იქმნება უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე.

მუხლი3. ფაკულტეტის ფუნქციები

3.1. ფაკულტეტი იზიარებს უნივერსიტეტის საერთო პასუხიმგებლობას თავის სფეროში, რომელიც დაკავშირებულია უმაღლესი განათლების კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით გაცხადებული მიზნების შესრულებასთან.

თავი II:ფაკულტეტისსტრუქტურა

მუხლი 4.ფაკულტეტის სტრუქტურადამართვისორგანოები

4.1. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია:

- ფაკულტეტის საბჭო;
- ფაკულტეტის დეკანი;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

4.2. ფაკულტეტის სტრუქტურა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით და მის შემადგენლობაში შედის:

- ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი,მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი,).
- ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო მიმართულება;
- ფაკულტეტის პედაგოგიური სამხატვრო საბჭო;
- სასწავლო სტუდია.

- კინოკლუბი.

4.3. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ფაკულტეტზე შეიძლება შეიქმნას საგანმანათლებლო,სამეცნიერო-კვლევითი ან სხვა სტრუქტურული ერთეული.

4.4.ფაკულტეტზე შეიძლება შეიქმნას სადისერტაციო საბჭო.

მუხლი5. ფაკულტეტის საბჭო

5.1. ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.

5.2. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ"საქართველოს კანონის 28-ე მუხლით.

5.3.ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტური თვითმმართველობის წევრები.

5.4.ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს სრული შემადგენლობის¼-ით (ერთი მეოთხედი).

5.5.ფაკულტეტის საბჭოს სხდომები იმართება თვეში არანაკლებ ერთხელ. რიგგარეშე ფაკულტეტის საბჭოს სხდომა შეიძლება იყოს მოწვეული საბჭოს წევრთა ¼-ის(ერთი მეოთხედი) მოთხოვნით.

5.6. ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც აწარმოებს ფაკულტეტის საბჭოს მდივანი.

მუხლი 6.დეკანატი

6.1. დეკანატი ხელმძღვანელობს ფაკულტეტს.

6.2. დეკანატი შედგება: დეკანის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სამდივნოსაგან (მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი,).

6.3.დეკანის თანამდებობა არჩევითია. დეკანს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით. არჩევნებანდე ფაკულტეტის საბჭოს წინაშე დეკანობის კანდიდატი წარადგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიას.

6.4. დეკანის უფლებამოსილების ვადა შეადგენს 4 წელს. ერთი პიროვნება ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე შესაძლებელია არჩეულ იქნას ზედიზედ არაუმეტეს ორი ვადისა.

6.5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ირჩევა ფაკულტეტის საბჭოსმიერ ხმათა უმრავლესობით.არჩეული სამსახურის ხელმძღვანელებთან შრომის ხელშეკრულებას აფორმებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი7. დეკანის ფუნქციები

7.1. დეკანი არის ფაკულტეტის ხელმძღვანელი და წარმოადგენს ფაკულტეტს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების წინაშე.

7.2. დეკანის ძირითადი უფლებამოსილება განსაზღვრულია „უმაღლესი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით.

7.3.დეკანის ფუნქციებში შედის:

- ფაკულტეტის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა;
- დეკანატისხელმძღვანელობა, ფუნქციების გადანაწილება სამდივნოს თანამშრომლებს შორის;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ფაკულტეტის განვითარების კონცეფციის შემუშავება, ფაკულტეტის საბჭოზე განხილვა და აკადემიური საბჭოსათვის წარდგენა;
- ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო პროცესის ორგანიზება;
- ფაკულტეტის საბჭოს, პედაგოგიური სამხატვრო საბჭოსა სხდომების დანიშვნა და თავმჯდომარეობა;
- ფაკულტეტის სახელით სამართლებრივი აქტის -ბრძანების გამოცემა;
- სასწავლო წლის დაწყებამდე ფაკულტეტის ბიუჯეტის წარმოდგენა;
- სასწავლო წლის დასრულებისას ფინანსური მოხსენების გაკეთება;

7.4.დეკანი პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე: სასწავლო დისციპლინებისა და სასწავლო განრიგის შედგენა, პედაგოგებით უზრუნველყოფა და ფინანსური ხარჯების გათვლა.

მუხლი8. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

8.1.ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს ხარისხისუზრუნველყოფის სამსახურის ერთიანი საუნივერსიტეტო სისტემის ნაწილს.

8.2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი წარმართავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას

უნივერსიტეტის წესდების, ფაკულტეტის დებულებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

8.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილებაში შედის:

- სასწავლო პროგრამების შემუშავების ორგანიზება;
- სასწავლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მონიტორინგი;
- სასწავლო და სამეცნიერო პროცესის ხარისხის შეფასება;
- აკადემიური პერსონალისა და პედაგოგების პროფესიული მომზადების შეფასება;
- აკადემიურ სფეროში ფაკულტეტის საქმიანობის თვითშეფასების პროცესისხელმძღვანელობა და განხორციელება,
- ავტორიზაციისა და აკრედიტაციისათვის თვითშეფასების მომზადება.

8.4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ასრულებს დეკანის მოვალეობას დეკანის ავადმყოფობის, მივლინებაშიდაშვებულებაში ყოფნის დროს.

მუხლი 9. დეკანატის სამდივნო

9.1. დეკანატის სამდივნო ასრულებს ფაკულტეტის მართვის ორგანოების – დეკანის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, დეკანის მოადგილის დავალებებს და ეწევა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საქმიანობას.

9.2. დეკანატის სამდივნო ფუნქციებია:

1. დეკანატის, ფაკულტეტის საბჭოს სხდომების გამართვის ორგანიზება;
2. სტუდენტთა მონაცემების აღრიცხვა, პირადი საქმეების წარმოება დაპერსონალურ ბარათზე აკადემური შეფასების ასახვა;
3. სასწავლო და საგამოცდო ცხრილების შედგენა და მათზე კონტროლისუზრუნველყოფა;
4. დამამთავრებელი კურსების სტუდენტებისთვის დოკუმენტაციის (დიპლომის დანართი) მომზადება;
5. სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის საჭირო ცნობების, რეკომენდაციების და სხვა დოკუმენტაციის მომზადება;
6. ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ინფორმირება ელ–ფოსტით ან სხვა საშუალებით უნივერსიტეტში სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ახალი წესების, რეგულაციების, ინსტრუქციების მიღების ან მათში ცვლილებების შეტანის შესახებ;
7. აკადემიური პერსონალის სემესტრული სააუდიტორო დატვირთვების კოორდინირება;
8. სტატისტიკური მონაცემების სისტემატური წარმოება;
9. სასწავლო პროცესთან დაკავშირებით ფაკულტეტზე შემოსული კორესპონდენციის განხილვა და პასუხის მომზადება;
10. სტუდენტთა ინფორმირება სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, შესაბამისი ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსება;

11. სტუდენტთა მობილობის პროცესის ორგანიზებაში მონაწილეობა. კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიაში მონაწილეობა;
12. პირადი საქმეების და ფაკულტეტის სხვა დოკუმენტაციის წარმოება - შენახვა.

თავი III:ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებები

მუხლი 10. ფაკულტეტზე არსებული სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებები:

1. მხატვრული კინოს რეჟისურა;
2. დოკუმენტური კინოს რეჟისურა;
3. ტელერეჟისურა;
4. ანიმაციური კინოს რეჟისურა;
5. ხმის რეჟისურა;
6. კინო - ტელე ოპერატორი;

მუხლი 11. საგანმანათლებლო პროგრამა

11.1. საგანმანათლებლო პროგრამა არის სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებზე, დარგობრივი, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების შეძენაზე დაფუძნებული, სტუდენტზე ორიენტირებული, მოქნილი სტრუქტურის მქონე კურიკულუმი, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალისტთა მომზადებას სწავლების ცალკეული საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, პროფესიული განათლება) მიხედვით.

11.2. საბაკალავრო პროგრამა შეიძლება შედგებოდეს კონცენტრაციებისგან. მისი აუცილებელი ნაწილია სასწავლო კურსები და/ან მოდულები.

11.3. სამაგისტრო პროგრამა შეიძლება შედგებოდეს კონცენტრაციებისგან. მისი აუცილებელი ნაწილია სასწავლო კურსები და/ან მოდულები, სამაგისტრო ნაშრომის მოსამზადებლად განკუთვნილი კომპონენტისაგან და სრულდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვით.

11.4. სადოქტორო პროგრამა შეიძლება შედგებოდეს კონცენტრაციებისგან. პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან დასრულდება სადისერტაციო ნაშრომის დაცვით, რომელიც უნდა მოიცავდეს ორ კომპონენტს: თეორიულ ნაშრომს და შემოქმედებით პროდუქტს.

11.5. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ადამიანური რესურსით, რომელშიც შედის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი, მკვლევარი ან მოწვეული პერსონალი. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება

დადგინდეს ამ პირის აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით, პუბლიკაციებით ან პროფესიული გამოცდილებით.

11.6. საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს პარტნიორდაწესებულებებთან:საქართველოს ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ან სამეცნიერო–კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით.

11.7. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავსპროგრამისხელმძღვანელი/ხელმძღვანელებიდა მოდულის ხელმძღვანელი.

მუხლი 12. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/მიმართულების ლიდერი

12.1.საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ მიმართულების ლიდერი შეიძლება იყოს ფაკულტეტის შესაბამისიდარგისპროფესორიანასოცირებულიპროფესორი. სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამის შემადგენელი მოდულის ხელმძღვანელი (მიმართულების ლიდერი)) შეიძლება იყოს შესაბამისი დარგისპროფესორიანასოცირებულიპროფესორი.

12.2. პროგრამის/მოდულის ხელმძღვანელი (მიმართულების ლიდერი) წარმოადგენს ფაკულტეტისა დაუნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.

12.3. პროგრამის/მოდულის ხელმძღვანელი (მიმართულების ლიდერი)პასუხისმგებელიასაუნივერსიტეტო დასააკრედიტაციო მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობაზე. საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი (მიმართულების ლიდერი) პასუხისმგებელია პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სილაბუსების ხარისხზე.

12.4. პროგრამის/მოდულის ხელმძღვანელი (მიმართულების ლიდერი) პასუხისმგებელია პროგრამის კურიკულუმის თაობაზე სტუდენტებისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებაზე, პროგრამის განხორციელებასთანდაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების თაობაზე დეკანისათვის გონივრულ ვადაში წინადადებების წარდგენაზე.

12.5.პროგრამის/მოდულის ხელმძღვანელი (მიმართულების ლიდერი) ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

12.6. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამას, პროგრამის ხელმძღვანელის (მიმართულების ლიდერი), ხელმძღვანელობით შეიმუშავებენ ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების პროფესორები და ასოც. პროფესორები.

12.7.მიმართულების ხელმძღვანელად/ლიდერად შეიძლება აირჩესაკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი - პროფესორი ან ასოც. პროფესორი. მიმართულების ხელმძღვანელის (ლიდერი) ირჩევს ფაკულტეტის საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობითფარული კენჭისყრით. არჩევნებამდე ფაკულტეტის საბჭოს წინაშე ლიდერობის კანდიდატი წარადგენს მიმართულების განვითარების გეგმას. კონკურსი ცხადდება არჩევნებამდე ორი კვირით ადრე.

12.8. სასწავლო-სამეცნიერო მიმართულების ლიდერობა არაანაზღაურებადი საქმინობაა.

მუხლი13.საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-დამტკიცება

13.1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი სასწავლო პროგრამებს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტისსაბჭოს. საგანმანათლებლო პროგრამებს, ფაკულტეტის საბჭოს და უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

13.2. დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

თავი IV:ფაკულტეტისპერსონალი

მუხლი 14. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი

14.1.აკადემიურ თანამდებობას მიეკუთვნებაპროფესორი, ასოცირებული პროფესორი,ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი.

14.2. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო პროცესსა და სამეცნიერო კვლევებს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

14.3. ასისტენტი ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესისფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

14.4. პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას ადგენს აკადემიური საბჭო.

14.5. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი და პირობები, თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, ასევე აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსი-ტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებით.

14.6. აკადემიური პროგრამების განხორციელებისთვის ფაკულტეტი უფლებამოსილია დაასაქმოს მასწავლებელი/უფროსი მასწავლებელი, მკვლევარი ან მოწვეული პერსონალი.

მუხლი 15.მოწვეული პერსონალი

15.1. უფროსი მასწავლებელი არის დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან დოქტორთან გათანაბრებული პირი და მისი საათობრივი დატვირთვა უნდა შეადგენდეს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საათების რაოდენობას (არანაკლებ 6 საათისა კვირაში).

15.2. მასწავლებელისაათობრივი დატვირთვა უნდა შეადგენდეს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საათების რაოდენობას (არანაკლებ 8 საათისა კვირაში).

15.3. საათობრივად მოწვეული მასწავლებელის/სპეციალისტის დატვირთვა ანაზღაურდება მის მიერ ჩატარებული საათების რაოდენობის შესაბამისად.

თავი V ფაკულტეტისსტუდენტი

მუხლი16.ფაკულტეტის სტუდენტები

16.1. ფაკულტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად.

16.2. სტუდენტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

16.3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა ხდება აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 17. სტუდენტური თვითმმართველობა

17.1.ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა შედგება ფაკულტეტზე ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე არჩეული სტუდენტებისაგან.

17.2. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის სტუდენტური თითმმართველობის დებულებით.

თავი VI:სასწავლო-სამეცნიეროსტრუქტურულიერთეულები

მუხლი18.ფაკულტეტისპედაგოგიური სამხატვრო საბჭო

(პედაგოგიური სამხატვრო საბჭო მუშაობის წესი - იხ. დანართი #1)

18.1. ფაკულტეტის პედაგოგიური სამხატვრო საბჭო განსაზღვრავს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დასაფინანსებელად წარსადგენი პროექტების კრიტერიუმებისა და შეფასების წესს;

18.2. ფაკულტეტის პედაგოგიური სამხატვრო საბჭო განსაზღვრავს საბაკალავრო და სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომის წარდგენისა და დაცვის წესს, ასევე შეფასების კრიტერიუმებს;

18.3. ფაკულტეტის პედაგოგიური სამხატვრო საბჭოს შემადგენლობაში შედიან: დეკანი, ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი, მიმართულების ლიდერები, სასწავლო სტუდიის დირექტორი და აკადემიური პერსონალის მიერ არჩეული მდივანი;

18.4. ფაკულტეტის პედაგოგიურისამხატვრო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აისახება სხდომის ოქმში.

მუხლი 19. ფაკულტეტის სასწავლო სტუდია

(სასწავლო სტუდიის მუშაობის წესი - იხ. დანართი #2)

19.1. ფაკულტეტის სასწავლო სტუდია უზრუნველყოფს, აუდიო -ვიდეო აპარატურითა და პავილიონით, სამივე საფეხურის სტუდენტებს შესაბამისი პროექტების განსახორციელებლად;

19.2. ფაკულტეტის სასწავლო სტუდიის შემადგენლობაში შედიან: სასწავლო სტუდიის ხელმძღვანელი, სასწავლო სტუდიის ხელმძღვანელის მოადგილე, მთავარი სპეციალისტი, სპეციალისტები და ტექნიკის მეთვალყურე;

19.3. ფაკულტეტის სასწავლო სტუდია უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საკურსო, სადიპლომო და გამოცდების გადაღებას;

19.4. უნივერსიტეტის სპონსორის სტატუსით ან/ და ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას ვიდეოგადაღებისა და ფოტოგადაღების ორგანიზებას;

მუხლი 20. ფაკულტეტის კინოკლუბი

20.1. ფაკულტეტის კინოკლუბი უზრუნველყოფს, აუდიო - ვიდეო აპარატურით ფაკულტეტის სამივე საფეხურისნამუშევრების პროექტების ღია საგამოცდო ჩვენებებს;

20.2. ფაკულტეტის კინოკლუბის შემადგენლობაში შედიან კინოკლუბის კოორდინატორი და სასწავლო სტუდიის დირექტორი;

20.3. ფაკულტეტის კინოკლუბი გეგმავს და ტექნიკურად უზრუნველყოფს:

- მასტერკლასებისა და ვორქშოპების გამართვას;
- ქართულიდა უცხოური მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური ფილმების ჩვენებასა და განხილვას;
- სტუდენტური ფილმების რეტროსპექტივას;
- სახელოვნებო უნივერსიტეტების ერთობლივ შეხვედრებს;
- ახალი თაობის კინემატოგრაფისტების საჯარო ლექციებს;
- საერთაშორისო სტუდენტურ კინოფესტივალებს;
- ადგილობრივ და რეგიონალურ სივრცეებში გასვლით კინოჩვენებებს;

თავი VII: საჯაროობადამატერიალური რესურსები

მუხლი21. საჯაროობა

21.1. დეკანატში დაცული ინფორმაცია არსებული კანონმდებლობის ფარგლებში საჯაროა, გარდა სტუდენტის პერსონალურ ბარათში შეტანილი პირადი ინფორმაციისა.

21.2. სილაბუსისა და პროგრამის საჯაროობა განისაზღვრება ავტორის გადაწყვეტილების მიხედვით.

მუხლი22. მატერიალური რესურსები

22.1. ფაკულტეტისფინანსურიდამატერიალურიუზრუნვლყოფახდებაუნივერსიტეტის მიერ.

21.2. ფაკულტეტის ბიუჯეტი არის უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილი.

თავი VIII: დასკვნითი დებულებანი

მუხლი 23. ფაკულტეტისდებულებაშიცვლილებები

23.1. წინამდებარედებულებაშიცვლილებებისადადამატებებისშეტანახორციელდებაამდ ებულებისდამტკიცებისათვისდადგენილიწესისშესაბამისად.

მუხლი 24. დებულების ამოქმედება

დებულება ძალაშია დამტკიცებისთანავე.